EQUALITY MOVEMENT

სამაგიდე კვლევა

ბულინგი საქართველოს საჯარო სკოლებში

მოკლე მიმოხილვა

თბილისი, 2022

კვლევა ჩატარდა ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ დაკვეთით

პროექტის მიზანი: კვლევაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები კვლევის ავტორებს ეკუთვნით და თანასწორობის მოძრაობის ან მისი დონორი ორგანიზაციების პოზიციად არ უნდა აღიქმებოდეს.

კვლევის ავტორები: თამარ ჩოჩიშვილი; ასლან ართმელაძე;

სარჩევი

თავი I: შესავალი 2

კვლევის მიზნები 3

კვლევის მეთოდოლოგია 3

ძირითადი მიგნებები 4

თავი II: სკოლაში ბულინგის გავრცელების პრაქტიკა 6

თავი III: საჯარო სკოლებში არსებული შესაბამისი დოკუმენტების, სტრატეგიების და კვლევების ანალიზი 12

თავი IV: ეროვნული სასწავლო პროგრამის და სასკოლო საგნების ანალიზი 16

თავი V: საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი 23

გერმანია 23

ჩეხეთის რესპუბლიკა 26

დასკვნა ..... Error! Bookmark not defined.

რეკომენდაციები 28

გამოყენებული ლიტერატურა 30

თავი 1
შესავალი

კვლევის მიზნები

აღნიშნული კვლევის მიზანია საჯარო სკოლებში ბულინგის პრევენციის და აღმოფხვრის პოლიტიკის მექანიზმების შესწავლა და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება. აქედან გამომდინარე, სამაგიდე კვლევის ფარგლებში - მოცემული საკითხი საჭიროებს საჯარო სკოლებში არსებული რეგულაციების, სასწავლო სახელმძღვანელო პრინციპების, თემასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების/დოკუმენტების და შესაბამისი კვლევების ანალიზს.

საერთო ჯამში, ფართო გაგებით კვლევის ფარგლებში გაანალიზდა და შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები:

> ა) საჯარო სკოლაში ბულინგის გავრცელების პრაქტიკა: რა წარმოადგენს ბულინგის წარმოქმნის წინაპირობებს და კონკრეტულად რა გარემოებები იწვევს მის პროვოცირებას?
>
> ბ) რა ტიპის სახელმძღვანელო პრინციპები, დოკუმენტები და რეგულაციები არსებობს ბულინგთან მიმართებაში საჯარო სკოლებში?
>
> გ) რამდენად სწორად და საკმარისად არის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო საგნებში (''მე და საზოგადოება'' და ''სამოქალაქო განათლება'') ბულინგის თემატიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები.
>
> დ) განათლების და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სტრატეგია, ნორმატიული აქტები და შესაბამის თემატიკის ირგლივ არსებული პოლიტიკის დოკუმენტები.
>
> ე) უცხოური ქვეყნების პოლიტიკის ანალიზი, ბულინგთან დაკავშირებული საკითხებთან მიმართებაში. როგორ წარმართავენ ბულინგის პრევენციულ საკითხებს.

კვლევა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ, კონკრეტულად არსებული პრობლემის თეორიული მხარე და მოსაგვარებლად გადადმული ნაბიჯები. კვლევის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემატური საკითხების, გამოწვევების და საჭიროებების ირგვლივ შემუშავდა სპეციალური რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდოლოგია

სამაგიდე კვლევის მეთოდი - წარმოადგენს მოცემული კვლევის ძირითად მეთოდოლოგიას. კვლევის მოსამზადებელ ნაწილში, აქტიურად გაანალიზდა, აქამდე არსებული საჯარო დოკუმენტები ბულინგის შესახებ. საჯარო სკოლებში ბულინგის მაპროვოცირებელი ფაქტების და აღკვეთის ღონისძიებების გამოკვლევა მნიშვნელოვანია, საწყის ეტაპზე საჭიროა ყველა არსებული მასალის შეგროვება, რომელიც მოცემულ დარგში არსებობს. აქედან გამომდინარე, კვლევის ძლიერ მხარედ შესაძლოა ჩაითვალოს შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობა და ხარისხი. აგრეთვე, განხილული საერთაშორისო

გამოცდილების მრავალფეროვნება. ამასთანავე, აღნიშნული სამაგიდე მეთოდი, მოცემული საკითხის სიღრმისეულად კვლევის საშუალებას იძლევა.

სამაგიდე კვლევა მოიცავს საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს - სასწავლო დაწესებულებებში (კონკრეტულად საჯარო სკოლებში) ბულინგის არსებობის და მასთან გამკლავების მექანიზმებს. სამაგიდე კვლევის ფარგლებში, მოყვანილია - გერმანიის და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითები, სასკოლო დონეზე ბულინგთან ბრძოლასთან მიმართებით. შესაბამისად, უფრო ფართო გვაქვს გაშლილი ორივე ქვეყანაში - ბულინგთან ბრძოლის ინდივიდუალური სამაგალითო პროცესები - განსაკუთრებით კი წარმოჩენილია პრევენციის როლი და ბულინგის პირისპირ პრაქტიკული ქმედებები. ორივე ნაწილი კი მნიშვნელოვანია საქართველოში - საჯარო სკოლებში ბულინგის დასამარცხებლად. საერთო ჯამში, ორივე ქვეყანას ბულინგთან ბრძოლის წარმატებული გამოცდილება აქვს, რაც უშუალოდ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით გამოიხატა, როგორც სისტემურ, აგრეთვე ინდივიდუალურ დონეზე, რაც შერჩევისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი აღმოჩნდა. სხვა კონკრეტული კრიტერიუმები (განათლების სისტემა, განვითარების დონე და ა.შ)(არ არის გამოყენებული ქვეყნების შერჩევის პროცესში.

ძირითადი მიგნებები:

არსებული კვლევის განხორციელებისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები, რაც ხელს უშლის ბულინგის პრევენციას საჯარო სკოლებში:

- მოსწავლეთა შორის ბულინგი არასრულწლოვანთა ურთიერთობის ფართო მასშტაბით გავრცელებული ფორმაა.
- სკოლების დონეზე სუსტია მოსწავლეთა ცოდნა თავიანთი უფლებების შესახებ.
- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაბალია პასუხისმგებელ პირთა კომპეტენცია ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობაზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ ხორციელდება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მიმართული რეაგირება.
- არასაკმარისია ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისები.
- სკოლის პერსონალი ნაკლებად იცნობს ადგილობრივ და საერთაშორისო დოკუმენტებს, კანონებს და ქვემდებარე აქტებს, რომელიც ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას არეგულირებს. სკოლის მესვეურთა დიდმა ნაწილმა არ იცის რეფერირების დოკუმენტის არსებობა და მისი სარგებელი.
- 2021 წელს მანდატურის სამსახურმა სკოლებში სოციალური მუშაობის მოდელი შეიმუშავა, რაც კარგ მექანიზმს წარმოადგენს, თუმცა ეს პროექტი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 36 საჯარო სკოლაში ხორციელდება.
- სკოლებში არსებობს უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო, თუმცა ამის შესახებ არც მასწავლებლები და არც მოსწავლეების დიდი ნაწილი ინფორმირებულები არ არიან. გარდა ამისა არ აქვთ მასწავლებლებს სათანადო კომპეტენცია სწორად შეაფასონ სიტუაცია და შესაბამისად სწორად გამოიყენონ რეფერირების დოკუმენტი. შესაძლოა ძალადობა რომელიც სახელმძღვანელოს მიხედვით საფრთხის პირველ დონეს მიკუთვნებოდეს უბრალო ბავშვურ კინკლაობად ჩათვალონ.

- არ არსებობს ბულინგის იდენტიფიცირების შემთხვევაში მსხვერპლის და ბულერის დახარების/რეაბილიტაციის მექანიზმები, მოცემული პროცესი არ ითვალისწინებს მსხვერპლის ან მოძალადის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებას და ასევე მის ჩართვაზე შესაბამის სერვისების მიღების პროცესში. (არსებობს მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, თუმცა თუ მშობელი უარს იტყვის დახმარების მიღებაზე, ბავშვის საჭიროების მიუხედავად არ განხორციელდება არანაირი ჩარევა).
- ეროვნული სასწავლო გეგმის კვლევისას გამოიკვეთა, რომ მართალია ისეთ საგნებში როგორიცაა „მე და საზოგადოება'' და „სამოქალაქო განათლება'' არის საუბარი ბავშვთა უფლებებზე, მაგრამ ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ბავშვის მოვალეობებზე. სტანდარტის დოკუმენტში არაფერი არ არის ნათქვამი ბავშვის უფლებებზე, მოვალეობის გარეშე - თუნდაც ოჯახურ გარემოში. ასევე არ არის ნახსენები და განმარტებული თუ რა არის ბულინგი, რას ნიშნავს, როგორ ამოიცნონ, როგორ დაიცვან თავი და დახმარების მიზნით ვის მიმართონ. 2018 წელს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებების აკადემიამ დანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტის ფინანსური დახმარებით ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ადამიანის უფლებების სწავლების ხელშესაწყობად, პროექტი განახორციელა, რომელიც იკლვლევდა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ადამიანის უფლებების სწავლებას ზოგდსაგანმანათლებლო სივრცეში. კვლევამ ცხადყო, რომ ის რაც ამ მიმართულებით ისწავლებოდა სკოლებში არ იყო საკმარისი, თუმცა ახალი ესგ- ს კვლევისას დავინახეთ, რომ აღნიშნული პრობლემა არ გამოსწორებულა.
- კიბერბულინგი უფრო ფართოდ გავრცელებული მეთოდია, რომლის კონტროლი და პრევენცია უფრო რთული პროცესია. გერმანიაში, ჩეხეთსა და საქართველოში კიბერბულინგის შემთხვევების მნიშვნელოვანი რაოდენობა ფიქსირდება.

თავი II: სკოლაში ბულინგის გავრცელების პრაქტიკა

უსაფრთხო სასკოლო გარემო არის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც სკოლის განვითარების პროცესს ახლავს. ფართო გაგებით, უსაფრთხო სკოლის კონცეფცია გულისხმობს მოსწავლეებისა და პერსონალის, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ-ემოციურ უსაფრთხოებას. ფიზიკური უსაფრთხოების ნაწილი აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა სკოლის ინფრასტრუქტურული მოწყობა, ჯანსაღი კვება, უცხო პირების სასკოლო ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების საკითხი, მოსწავლის ან/და სკოლის პერსონალის მხრიდან სხვა მოსწავლეზე ფიზიკური ძალადობის გამოვლინების პრევენცია/პრეემფცია[1] და ა.შ;

უშუალოდ პრობლემის აღწერაზე გადასვლამდე, მოკლედ გავეცნოთ, ბულინგის მნიშვნელობას. ''*ბულინგი არის რეგულარული ხასიათის მქონე მიზანმიმართული, სასტიკი ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური მოპყრობა, ჩაგვრა. მჩაგვრელი, შეიძლება იყოს ინდივიდი, ან ბავშვების მთელი ჯგუფი. ბულინგის შემთხვევებს შეიძლება ყველგან გადავაწყდეთ: ნებისმიერ ქვეყანაში, კულტურაში, სოციუმსა თუ გარემოში*''[2]. სამი სახის ბულინგი არსებობს:

ფიზიკური - შეიძლება მოიცავდეს ქცევებს, როგორებიცაა: დარტყმა, ხელის კვრა, შეფურთხება, არასასურველი და უხერხული შეხებები და ასე შემდეგ;

ვერბალური - ვერბალური ბულინგი მოიცავს შემდეგ ქცევებს და ქმედებებს: შეურაცხმყოფელი სახელების დაძახება, დაცინვა, არასასიამოვნო და ნეგატიური კომენტარების გაკეთება მავანი პირის ატრიბუციებზე (გარეგნობა, რელიგია, რასა, სექსუალური ორიენტაცია და ასე შემდეგ).

კიბერბულინგი - კიბერბულინგი, ხორციელდება კიბერსივრცეში, რაც მოიცავს შემდეგ ქმედებებს: ცრუ ინფორმაციის გავრცელებას ადამიანის შესახებ სხვადასხვა სოციალური ქსელის და მედიის მეშვეობით, რომელიც შესაძლებელია იყოს პირადი, შეურაცხმყოფელი ფოტოების ნებართვის გარეშე გავრცელება. ასევე სოციალურ ქსელში ღია მუქარა თუ დაცინვა. კიბერბულინგი არა მხოლოდ ბულინგის მსხვერპლისთვის არის საზიანო, არამედ ნებისმიერი მის ირგვლივ მყოფი ადამიანისთვის, რადგან ონლაინ სოციალურ სივრცეში მტრული და საფრთხის შემცველი გარემო იქმნება.[3]

ამასთან, ბულინგი შესაძლოა პირდაპირ ან არაპირდაპირ იყოს გამოხატული.

პირდაპირი ბულინგი, ბულინგის ყველაზე თვალსაჩინო ფორმაა. ასეთ დროს უშუალო ზეწოლა ხდება მსხვერპლზე. თვალსაჩინოა ვინ არის ბულერი ან ბულერთა ჯგუფი, რადგან ისინი პირდაპირ, დამალვის გარეშე აბულინგებენ ადამიანს. ძირითადად პირდაპირ ბულინგში მოიაზრება ხოლმე ფიზიკური ბულინგი და ვერბალური ბულინგის და კიბერბულინგის გარკვეული გამოვლინებები.

არაპირდაპირი ბულინგის დროს შეფარვით, არაპირდაპირ, ხდება ზიანის მიყენება გარკვეული ინდივიდისათვის ან ჯგუფისთვის. არაპირდაპირი ბულინგის დროს რთულია ბულერის იდენტიფიცირება. ეს შეიძლება მოიცავდეს ვერბალურ ბულინგს, კიბერბულინგს და ბულინგს, რომელიც თავის თავში მოიცავს ადამიანის გარკვეული სოციუმიდან გარიყვას.

---

[1] უსაფრთხო სკოლა, პოლიტიკის დოკუმენტი; გორგომე სოფიო, სიმონ ჯანაშია 2012.

[2] ბულინგი სკოლაში: ინტერვიუ ელენე მაღრაძესთან

[3] რა არის ბულინგი? (www.stopbullying.ge)

ბულინგის საკითხი მნიშვნელოვან როლს ასრულებს უსაფრთო სასკოლო გარემოს კონცეფციის ჩამოყალიბებაში. ბულინგის თემის ირგლივ, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო მხოლოდ 2015 წელს დაინტერესდა. სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურმა“ ბულინგის შემთხვევათა სტატისტიკის წარმოება სწორედ 2015 წლიდან დაიწყო და 2018 წლამდე, საქართველოს მასშტაბით 474 შემთხვევა დაფიქსირდა. კატეგორიებად დაყოფილი ბულინგის სტატისტიკა, სამწუხაროდ, არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, არ ვიცით საქართველოს სკოლებში როგორი სახის ძალადობა ჭარბობს მოსწავლეებს შორის.[4] საინტერესოა, რომ აღნიშნული სტატისტიკა საქართველო ყველა სკოლას არ მოიცავს, რადგან მანდატურის სამსახური 2021 წლის მონაცემით 607 სკოლაში მუშაობს.[5] ამ ეტაპისთვის, ქვეყანაში 2300-ზე მეტი სკოლა აღირიცხება - აქედან გამომდინარე დაახლოებით, სკოლების 26.5 პროცენტში გხვდება მარტოოდენ მანდატურის სამსახური. 1700-მდე სკოლის მონაცემი ბულინგთან დაკავშირებით, სამწუხაროდ აღუწერელი რჩება.

სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით,[6] რომელიც ძირითადად მოიცავს საქართველოს მასშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტებს, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის, განსაკუთრებით საჯარო სკოლებში არსებული, ამჟამინდელი სიტუაციის შესახებ. ანგარიშის მოკვლევის ფარგლები სცდება აღნიშნული კვლევის ფარგლებს (მოიცავს რეგიონებს და კერძო სკოლებს), თუმცა შესაძლებელია მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება და განზოგადება ბულინგთან მიმართებით თბილისის საჯარო სკოლებში არსებული სიტუაციის შესახებ.

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ ვიზიტები განხორციელდა მთელი საქართველოს მასშტაბით 109 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში (მათგან 98 საჯარო და 5 კერძო სკოლა, აგრეთვე, 6 სკოლა პანსიონი). მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ განხორციელებული სავარაუდო ძალადობის პრევენციისა და სავარაუდო ძალადობისგან დაცვის ხელშეწყობა. შესაბამისად,მონიტორინგის ამოცანა იყო სისტემური და ინდივიდუალური დარღვევების იდენტიფიცირება, არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებული სავარაუდო ძალადობის პრევენციის ხელშეწყობისა და სავარაუდო ძალადობისგან დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კვლავ გამოწვევად რჩება მოსწავლეთა დაცვა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და არასათანადო მოპყრობისაგან. მაშ შორის არის აღსანიშნი რამდენი ნორმის დარღვევა. მონიტორინგის შედეგებმა, გამოკვეთა, რომ სკოლებში მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობა სავალალო მდგომარეობაში, უფრო კონკრეტულად:

- ხშირია ბავშვის მიმართ როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის შემთხვევები უფროსებისა და თანატოლების მხრიდან.
- მოსწავლეთა შორის ბულინგი არასრულწლოვანთა ურთიერთობის ფართო მასშტაბით გავრცელებული ფორმაა.
- სკოლების დონეზე სუსტია მოსწავლეთა ცოდნა თავიანთი უფლებების შესახებ.

[4] საქართველოს განათლების სისტემა, სამაგიდე კვლევა

[5] სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური, 2021 წლის ანგარიში

[6] საქართველოს სახალხო დამცველი, ბავშვთა უფლებათა ცენტრი სპეციალური ანგარიში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა, თბილისი 2017

- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაბალია პასუხისმგებელ პირთა კომპეტენცია ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობაზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ ხორციელდება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მიმართული რეაგირება.
- არასაკმარისია ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისებიც.

სავალალო შედეგებს ვხედავთ მოტინორინგის ანგარიშში. შედეგების მიხედვით მოსწავლეებთ აქვთ ინფორმაცია ბავშვთა უფლებების და ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ თუმცა, ინფორმაცია ზედაპირულად აქვთ. შესაბამისად უჭირთ უფლებების და მოვალეობების გამიჯვნა. აღსანიშნია, რომ სკოლებში გავრცელებულია ძალადობის როგორც ფსიქოლოგიური ასევე ფიზიკური ნორმები, თუმცა ხდება ფაქტების იგნორირება. შესაბამისად, მოსწავლეების უმრავლესობას დახმარების იმედი არ აქვთ და არც ინფორმაცია დახმარების შესაბამისი გზების შესახებ.

მონიტორინგის პროცესში ჩატარდა უშუალოდ გამოკითხვა სკოლის მესვეურებს შორის და მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოიკვეთა უშუალოდ ბულინგთან რეაგირების მიმართებაში. სკოლის პერსონალი ნაკლებად იცნობს ადგილობრივ და საერთაშორისო დოკუმენტებს, კანონებს და ქვემდებარე აქტებს, რომელიც ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას არეგულირებს. ყველაზე მეტად ''გაეროს ბვშვის უფლებათა კონვენციის'' შესახებ იციან. სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესახებ სკოლის მესვეურთა **¼** ნაკლებს აქვს ინფორმაცია[7]. აქვე აღსანიშნია, რომ სკოლის მესვეურთა დიდმა ნაწილმა არ იცის რეფერირების დოკუმენტის არსებობა და მისი სარგებელი. (საქართველოს მთავრობის დადგენილება: „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების თაობაზე"). შესაბამისად, სუსტი მიმართვიანობის დონე და აგრეთვე მასწავლებელთა შორის მისი გათვითცნობიერების საკითხიც.

მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლებში უცხო არ არის ბულინგის და ჩაგვრის რამდენიმე ფორმა. მათ შორის ყველაზე მეტად აღსანიშნია - დისკრიმანციული გამოვლინებები ეროვნების, რელიგიის, საცხოვრებელი ადგილის, აკადემიური მოსწრების, ჩამულობის და პირადი სტილის გამო. მეორე მხრივ აღსანიშნია, რომ მოსწავლეები და სკოლის თანამშრომლების მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, მოსწავლის დამცირება და სხვადასხვა ნიშნით ჩაგვრა არ წარმოადგენს ძალადობის ფორმას. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, მოსწავლეთა გარკვეული კატეგორია, რომელიც აღიარებს, რომ მართლაც სჩადიოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ჩაგვრით ქმედებებს თანაკლასელების/თანასკოლებების მიმართ. შედეგების მიხედვით, შემდეგ ძალადობის ფორმებს მიმართავენ მოსწავლეები საკუთარი თანაკლასელების/თანასკოლელების მიმართ: 1) გართობის მიზნით პირადი ნივთების დამალვა; 2) დამამცირებელი მეტსახელებით მიმართვა; 3) უხეში კომენტარების გაკეთება; 4) დაცინვა; 5) ხელის დარტყმა/ფეხის დარტყმა; 6) ძალით შეჯახება. ჩამოთვლილი ძალადობრივი შემთხვევების დიდი ნაწილი საკლასო ოთახებში ხდება. შემდეგ არის არასასკოლო პერიოდი და სკოლის ეზო. მონიტორინგის პროცესში გამოჩნდა, რომ ზემო მოხსენებული ძალადობრივი შემთხვევებისთვის სკოლის მოსწავლეები იყენებენ ისეთ ადგილებს, სადაც კამერა არ არის.

ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის და ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები და რეაგირების მექანიზმების არსებობა, რომელიც ორიენტირებული იქნება შემთხვევების პრევენციასა და შემცირებაზე. კვლევის თანახმად დადგინდა, რომ სკოლებში არსებული დისციპლინური სახდელები და ძალადობაზე რეაგირების მექანიზმი არ არის ორიენტირებული ბავშვის,

[7] იგივე

როგორც ძალადობის მსხვერპლის და არასრულწლოვანი მოძალადის საუკეთესო ინტერესებსა და რეაბილიტაციაზე. ამასთან აღსანიშნია, რომ არ არსებობს ერთიანი პროცედურა სკოლებში, რომელიც ამ მიმართულებას დაარეგულირებდა, აქედან გამომდინარე თითოეული სკოლა ინდივიდუალურად წყვეტს საკითხს და მიღებული გადაწყვეტილებები მეტწილად არაერთგვაროვანია. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ გადაწყვეტილების პროცესში სხვადასხვა ფაქტები ახდენს გავლენას, მათ შორის: თუ ვინ ჩაიდინა ფაქტი, ვინ შეესწრო ამ ყველაფერს და ა.შ; საერთო ჯამში, გარკვეულ შემთხვევაში დისციპლინარული გადაწყვეტილება მოსწავლის პიროვნულ ასპექტებთან არის დაკავშირებული და მეტწილად აჩენს უსამართლობის განცდას მოსწავლეებში.

რაც მთავრია, ერთი და იგივე ქცევა შესაძლოა არასასურველად კვალიფიცირდეს და განსხვავებული რეაგირება მოჰყვეს იმის მიხედვით, თუ რომელი მოსწავლე არღვევს წესს და რომელი მასწავლებელი არის ფაქტის მომსწრე. არასასურველ ქცევაზე რეაგირებას ძირითადად მუქარისა და „დაშინების“ ფორმა აქვს. აღნიშნული პრაქტიკა შესაძლოა ეფექტიანი იყოს ხანმოკლე პერიოდისთვის, რადგან „აჩერებს“ მოსწავლეებს და უბიძგებს მათ წესების დაცვისკენ, ხანგრძლივ პერიოდში კი ზრდის რისკს, რომ მოსწავლეები დაიცავენ მხოლოდ იმ წესებს, რომელთა დარღვევასაც სასჯელი მოჰყვება. აგრეთვე, სასჯელის ფორმად გამოიყენება სკოლიდან დროებით გარიცხვა, რაც აფერხებს მოსწავლის სასწავლო პროცესში მონაწილეობას და გაცდენილი დღეების მიხედვით ჩამორჩება პროგრამას. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და საჯარო სკოლების შინაგანაწესები არ უზრუნველყოფენ მოსწავლის განათლების უფლების დაცვის გარანტიებს მაშინ, როცა სასჯელის ფორმა გარკვეული ვადით სკოლიდან დათხოვნაა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ზემო მოხსენებულ ფაქტს. საერთო ჯამში, დასჯის ზემო აღნიშნული პრაქტიკები არაჯანსაღია და აფერხებს მორალური განვითარების შესაძლებლობას, აქედან გამომდინარე ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

სკოლის თანამშრომლები, თავიანთი საუბრების მიხედვით - მოსწავლეთა ძალადობის შემთხვევაში - ყველაზე ხშირად გამოყენებულ დოკუმენტად - სკოლის შინაგანაწესს ასახელებენ, ყველაზე ნაკლებად კი რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს (ინსტრუმენტი) მიმართავენ. აგრეთვე, იშვიათია შესაბამისი საგანმანათლებლო აქტივობებს მოწყობა, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ არის მიმართული.

ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსწავლეების დამოკიდებულება ტოლერანტობისადმი, თუ რამდენად ღიად და მიმღებლურად არიან განწყობილები სხვადასხვა საკითხების მიმართ. სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით: 1) მოსწავლეთა ¼ სკოლაში თავისუფლად ვერ გამოთქვამს აზრს; 2) აგრეთვე, გამოკითხულთა ¼ არ იზიარებს საყოველთაო თანასწორობის პრინციპებს; 3) გამოკითხულთა დაახლოებით 20 პროცენტი, ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სკოლაში მისვლა აფერხებს სწავლის ეფექტურობას, აგრეთვე 16 % თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე წარმატებული გახდება; 4) 35 %-ი უარყოფს, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენელი მოსწავლეები ხელს უწყობენ მრავალფეროვან ურთიერთობების ჩამოყალიბებას სკოლაში; 5) აგრეთვე, ¼ აცხადებს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან დაკავშირებით ხანდახან იქმნება კონფლიქტური სიტუაციები.

მოცემული სურათი, ნამდვილად არ არის სახერბიელო და ნათლად ასახავს სკოლის შიდა დონეზე არსებულ არატოლერანტულ სიტუაციას. მოცემული კვლევის მიხედვით გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახეზეა ძალადობის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ფორმები როგორც მოსწავლეებს შორის, ისე უფროსების, განსაკუთრებით, მოსწავლეებთან აქტიურ კომუნიკაციაში

მყოფი პირების მხრიდან. აგრეთვე, გამოიკვეთა სტერეოტიპული, და დისკრიმინაციული აზროვნება მოსწავლეებსა და მასწავლებლებში; პრობლემად რჩება სკოლის თანამშრომლების მიერ ძალადობის პრევენცია, შემთხვევის გამოვლენა და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული რეაგირება. შესაბამისად, სკოლებში მინიმალურია ძალადობის იდენტიფიცირებული ფაქტები და არ ასახავს ძალადობის გავრცელების სრულ სურათს. არათანმიმდევრულია მოსწავლეების ცნობიერება თავიანთი უფლება–მოვალეობებისა და ძალადობის არსის შესახებ. საერთო ჯამში, სკოლებს არა აქვთ ძალადობის დაძლევის ერთიანი პოლიტიკა.

კვლევა ადამინის უფლებების სწავლების და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში - სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2017-2018 წლებში ჩატარდა, რომელიც საინტერესო შედეგებს იძლევა სასკოლო დონეზე მოსწავლეების ბულინგის და ძალადობის ფაქტორების გამოსაკვეთად და შესაფასებლად. კვლევა საქართველოს მასშტაბით ჩატარდა, კერძო და საჯარო სკოლებში. კვლევის პროცესში სამი სამიზნე ჯგუფი იყო გამოყოფილი: 1) 7-12 კლასის მოსწავლეები, 2) საგნის პედაგოგები, რომელთა სასწავლო პროგრამა ადამიანის უფლებების სწავლებას და დამატებით ასპექტებს მოიცავს და 3) სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები[8].

სახალხო დამცველის მიერ, 2017-2018 წლებში ჩატარებული კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეგროვდა ადამიანის უფლებების სფეროს მიმართულებით. კვლევამ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს შორის, ადამიანის უფლებების სფეროში, ცოდნის ნაკლებობა გამოავლინა. ცოდნის ნაკლებობა და ნაკლები ინფორმირებულობა ძირითადად, ორი მნიშვნელოვანი წყაროდან მომდინარეობს - უმაღლეს სასწავლებლებში ნაკლები აქცენტი კეთდება ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროგრამებში და სასკოლო თუ ცენტრალურ დონეზე ამ მიმართულებით პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობებია. სასკოლო დონეზე ცოტა დრო ეთმობა ადამინის უფლებების სწავლების პროცესს, შედეგად კი მოსწავლეთა ცოდნა უმეტეს შემთხვევაში ზედაპირული და ფასადურია. რასაც მოწმობს კვლევის შედეგად გამოკვეთილი სტერეოტიპული დამოკიდებულებები გენდერული როლების, სხვადასხვა უმცირესობების, ჯამრთელობის მდგომარეობის და სექსუალური ორიენტაციის საკითხების მიმართ, რომელიც საბოლოო ჯამში, პრაქტიკაში ძალადობრივი ელემენტებით და ბულინგის მეშვეობით წარმოჩნდება.

ადამიანის უფლებების შესახებ განათლება ხშირად მხოლოდ საინფორმაციო კამპანიებით და ფლაერების დარიგებით შემოიფარგლება, რაც ძირითადად განაპირობებს ზემო მოყვანილ ფაქტს. საინფორმაციო კამპანიებით ადამიანის უფლებების სწავლება არ ჯდება გაეროს ადამიანის უფლებების შესახებ განათლების დეკლარაციით შემოთავაზებულ დეფინიციაში, რომლის მიხედვითაც განათლება გავლენას ახდენს ცოდნის, უნარების და მიდგომების განვითარებაზე და განათლების დიდაქტიკურ პრინციპებს ეფუძნება. საერთო ჯამში, ადამიანის უფლებების, განსხვავებულის მიმართ პატივისცემისა და შემწყნარებლობის პრინციპების შესახებ ფასადური ცოდნა, შესაძლოა განაპირობებდეს არსებულ სასკოლო გარემოს, სადაც სხვადასხვა საფუძველზე მოსწავლეებს შორის ჩაგვრა და ძალადობა საკმაოდ გავრცელებულ სამწუხარო რეალობაა. მეორე მხრივ, სკოლების ადმინისტრირების პროცესში, ადამიანის

[8] კვლევა ადამინის უფლებების სწავლების და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში, სახალხო დამცველის აპარატი

უფლებათა შელახვის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმები ან არ არსებობს, ან კონცეპტუალურ დახვეწასა და ეფექტიან განხორციელებას საჭიროებს.

2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ადამიანის უფლებების საკითხები წარმოდგენილია საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, ისევე როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციების ჩამონათვალში, თუმცა აღარ არის გაშლილი სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში. ამასთანავე, ადამიანის უფლებების საკითხები ვრცლად არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში, ნაწილობრივ კი სპორტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეროვნულ სასწავლო გეგმებში. ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ დებულებები გვხვდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სადამრიგებლო საათშიც. კვლევამ აჩვენა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესში ადამიანის უფლებები მხოლოდ იმ მიმართულებებსა და დარგებში ისწავლება, რომლებშიც ის ეროვნული სასწავლო გეგმითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, იმისათვის, რათა ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება აისახოს, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტი და არ ეფუძნებოდეს მხოლოდ საზოგადოებრივ მეცნიერებებში სწავლებას. საერთო ჯამში მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებების სწავლების საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველა საგნობრივ ჯგუფში იყოს ასახული.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ჩამონათვალში წარმოდგენილი ''თ'' დებულება, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება, განმარტავს: '*'მოზარდი უნდა: იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება".* შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში და ეროვნულ სასწავლო გეგმაში ადამიანის უფლებების სწავლების კომპონენტი და შესაბამისად ტოლერანტული მიდგომის ჩამოყალიბება აღიარებული ზოგადსაგანამათლებლო სტრუქტურების მიერ, რაც ნათალდ წარმოდგენილია დოკუმენტებში.

ადამიანის უფლებების უკეთ სწავლების პროცესში, რაც თავისთავად იწვევს ტოლერანტული თაობის ზრდას - ძალადობრივი მიდგომების გარეშე - მნიშვნელოვანი კომპონენტია მასწავლებელთა კომპეტენცია და მათი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. სამწუხარო ფაქტია, რომ მასწავლებლების ცოდნა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინსტიტუციებისა და პროგრამების შესახებ, ძირითადად საშუალო ან საშუალოზე დაბალია[9]. მასწავლებლები უკეთ უცნობენ საქართველს სახალხო დამცველის აპარატს და გაეროს ბავშვთა ფონდს, ვინც ადამიანის უფლელბების მიამრთულებით აქტიურად მუშაობს. აღსანიშნია, რომ დაახლოებით ¼ მასწავლებლების არ იცნობს არცერთ ინსტიტუციას ან პროგრამას, რომელიც ადამიანის უფლებების მიმართულებით მუშაობს და შესაბამის სტანდარტებს ნერგავს. საერთო ჯამში, მასწავლებელთა ინფორმირებულობის დონე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცალკეული ინსტიტუციებისა თუ პროგრამების შესახებ საშუალო

[9] იგივე

ან საშუალოზე დაბალია. მასწავლებელთა მწირი ცოდნა და ინფორმირებულობის ხარისხი უმაღლეს სასწავლებლებში, მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროგრამებზე ადამიანის უფლებათა საკითხებზე ნაკლები აქცენტირებით და სასკოლო თუ ცენტრალურ დონეზე ამ მიმართულებით პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობით არის გამოწვეული.

საერთო ჯამში, სკოლის მესვეურები (მასწავლებლები და მოსწავლეები) მიიჩნევენ, რომ ადამიანის უფლებები სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტებში (სკოლის სასწავლო გეგმა, სკოლის დებულება, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა და ა.შ.) მაქსიმალურად არის წარმოდგენილი. ასევე თვლიან, რომ მაქსიმალურადაა გამოხატული ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა - სკოლის მმართველობაში, წესებსა და პროცედურებში, სწავლებაში არაფორმალურ ურთიერთობებში, საკლასო ოთახებისა თუ დერეფნების გაფორმებასა და ვიზუალიზაციაში. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები (დირექტორი, მოადგილე, მენეჯერი) ასევე მიუთითებენ, რომ მათ სკოლაში არსებობს/სრულყოფილად არსებობს დაწერილი ან პრაქტიკაში დამკვიდრებული წესები და პროცედურები შემდეგი საკითხების დასარეგულირებლად: დისკრიმინაცია რელიგიურ, ეთნიკურ, სქესობრივ/ გენდერულ, შშმ ნიადაგზე და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან ან/და მდგომარეობასთან დაკავშირებით. მიღებული შედეგი 73-79 პროცენტის ფარგლებში ვარირებს, რაც ერთობ მნიშვნელოვანი შედეგია სკოლებში ადამიანის უფლებების მდგომრეობის შესახებ. მოცემული პოზიტიური შედეგის პარალელურად შესაძლებელია, რამდენიმე კონკრეტულ მიმართულებაზე გამახვილდეს ყურადღება. სკოლებში თითმის არ არსებობს უფლების დარღვევის შემთხვევაში ქცევაზე რეაგირების და/ან ქცევის შეცვლისკენ ორიენტირებული პოლიტიკა, რაც აზიანებს მოზარდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და რთულს ხდის შემდგომ პიროვნულ განვითარების პროცესებს.

თავი III: საჯარო სკოლებში არსებული შესაბამისი დოკუმენტების, სტრატეგიების და კვლევების ანალიზი

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის 2021 წლის ანგარიში საინტერესო მიმართულებებს გვთავაზობს ადამიანის უფლებების დაცვის და სკოლებში ბულინგის პრევენციის მიმართულებით.

2021 წელს მანდატურის სამსახურმა სკოლებში სოციალური მუშაობის მოდელი შეიმუშავა. საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება და სოციალური მუშაკების როლის გაზრდა დაიწყო, რაც გულისხმობს მოსწავლეთა, მათი მშობლებისა და პედაგოგების მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, მოსწავლეთა ეფექტიანი სოციალური ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრას. საპილოტე რეჟიმის ფარგლებში სოციალური მუშაკები დაემატნენ 36 საჯარო სკოლაში, მათ შორის თბილისის საჯარო სკოლებში. ამ პროცესის გამჭირვალობის და მაქსიმალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შეხვედრები გაიმართა ყველა სამიზნე სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.

სოციალური მუშაკები სკოლებში მნიშვნელოვან საქმიანობას ახორციელებენ, ადამიანის უფლებების ფასეულობის ზრდის მიმართულებით, უფრო კონკრეტულად და კი რეგულარულად ახორციელებენ შემდეგ ღონისძიებებს და აქტივობებს: საკლასო წესებისა და ფასეულობის შემუშავება, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება, ემოციების გამოხატვა/იდენტიფიცირება, კონფლიქტების მართვა და რაც ძალიან მთავარია ბულინგის/კიბერბულინგის რაობა და მისი გავლენის შეფასება მოსწავლეებზე.

აგრეთვე, სოციალური მუშაკები აქტიურად ემუშავებიან მშობლებს, შემდეგი საკითხების ირგვლივ: ქცევის მართვის სტრატეგიები, ბავშვის უფლებები, პოზიტიური დისციპლინა, აღზრდის სხვადასხვა სტილი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც მნიშვნელოვანია მოზარდის ფსიქოლოგიური მდგომარეობის უკეთ აღსაქმელად.

2019-2021 წლების განმავლობაში ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა, საპილოტე ფარგლებში 11 საჯარო სკოლაში განახორციელა ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის, ნივთიერებების ავადმოხმარების პრევენციის და აღდგენითი პროცესების დანერგვის მხარდამჭერი პროექტი. მოცემული პროექტის ფარგლებში, ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის პრევენციის შეფასების მიზნით, 2021 წლის დეკემბერში, დაიწყო პილოტირების შედეგების პოსტ-კვლევა, რომელსაც პრე-კვლევა უძღოდა წინ. შედეგების კვლევის პროცესი 2022 წლის მეორე კვარტლის ბოლოს გამოქვეყნდება, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცეს ბულინგის პრვენციის და შემცირების მიმართულებით - სკოლის საკითხებში მრავალშრიანი ჩართულობის შედეგეად.

სასკოლო სივრცის მარეგულირებელი დოკუმენტების კვლევა

საჯარო სკოლებში ორი მარეგულირებელი დოკუმენტი არსებობს: 1) „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო'', რომელიც შემუშავებულია მანდატურის სამსახურის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ და 2) სარეკომენდაციო დამხმარე სახელმძღვანელო „სკოლის დისციპლინური კომიტეტის გზანკვლევი'', რომელიც შემუშავებულია 2012 წელს.

უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო წარმოადგენს სკოლაში დარღვევათა და სხვადასხვა გადაუდებელ კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქციას. აღნიშნულ სახელმღძვანელოში გამოყოფილია საფრთხის სამი დონე და რეაგირების სხვადასხვა მექანიზმები[10]:

პირველი დონე - არის საფრთხის მაღალი დონე რომელზეც რეაგირებისთვის აუცილებელია განათლების სამინისტროს შიდა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად სამართალდამცველი ან/ და სხვა ინსტიტუციების ჩართვა.

მეორე დონე - საშუალო დონე, როდესაც რეაგირებისთვის აუცილებელია განათლების სამინისტროს შიდა სტრუქტურული ერთეულების ჩართვა.

მესამე დონე - საფრთხის დაბალი დონე, როდესაც რეაგირებს სკოლის ადმინისტრაცია.

ჩვენი კვლევის ფარგლებში საინტერესოა პირველი დონე და მცირე ნაწილით მეორე დონის დარღვევები.

პირველი დონე მოიცავს ბულინს და კიბერ ბულინგს ერთად. ანუ ამ შემთხვევაში რეფერირება განათლების და მეცნიერების სამინისტროს შიდა სტრუქტურების მეშვეობით ხდება სამართალდამცველი და/ან სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად.

მეორე დონეში შედის ფსიქოლოგიური ძალადობა. მოსწავლეებს შორის ფსიქოლოგიური ძალადობის, შემთხვევაში არის პირდაპირი მითითება, რომ მოხდეს 112-თან დაკავშირება, თუმცა არის ერთი პატარა დეტალი რომელიც სრულიად ცვლის აღნიშნული მითითების კონტექსტს და იძლევა სუბიექტური ლავირების საშუალებას. „თუ ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს'' სკოლის ადმინისტრაცია ან მანდატურის სამსახური 112-ს უკავშირდება. თუ მომხდარი ფაქტი არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს არ ხდება 112-თან დაკავშირება. პირველ რიგში ძალიან ბუნდოვანია, როგორ შეიძლება ფსიქოლოგიური ძალადობა, არ შეიცავდეს ძალადობის ნიშნებს. აგრეთვე, მოცემული ჩანაწერის მიხედვით, შესაძლებელია რომელიმე მანდატურმა ან ადმინისტრაციის თანამშრომელმა მომხდარი ფაქტი სუბიექტური მოსაზრების მიხედვით, უბრალო ''ბავშვურ კინკლაობად'' ჩათვალოს და არ მისცეს სრულაფასოვანი მოკვლევის საშუალება. ფაქტის სრულად შესწავლის და მოკვლევის შემდგომ თუ დადგინდა, რომ სახეზეა ქცევის დარღვევები ხდება მისი გადამისამართება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში. სამწუხაროდ, მოცემული პროცესი არ ითვალისწინებს მსხვერპლის ან მოძალადის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებას და ასევე მის ჩართვაზე შესაბამის სერვისების მიღების პროცესში.

სკოლის დისციპლინური კომიტეტის გზამკვლევი[11] წმინდად ბიუროკრატიული დოკუმენტია, სადაც დეტალურად არის გაწერილი თუ როგორ უნდა მომზადდეს შესაბამისი დისციპლინური სხდომები და როგორ უნდა მოხდეს მხარეების გამოკითხვა. ასევე აღწერილია თუ როგორი ტიპის საქმეები შეიძლება მოხვდეს დისციპლინარული კომიტეტის სხდომაზე. უშუალოდ ბულინგის/კიბერბულინგის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციები არ გვხვდება გაწერილი აღნიშნულ გზამკვლევში. ასევე, აღსანიშნია რომ

[10] სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო

[11] სარეკომდაციო დამხმარე მასალა საჯარო და კერძო სკოლებისთვის; ლია გიგაური, გიორგი გახელაძე; თბილისი, 2012;

თითოეული სკოლა ინდივიდუალურად განსაზღვრავს ბულინგის/კიბერბულინგის მართვის და მოგვარების საკითხებს.

კვლევა ''ქვიარ ბულინგი სკოლაში'' შედეგების მიხედვით, რომელიც საქართველოს სკოლებში ბულინგის პრობლემას ეძღვნება - კვლევის მონაწილეების 69 % სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს, 17 % ზოგჯერ, ხოლო რესპოდენტების 14 % არასდროს. კვლევისთვის საინტერესო იყო სკოლაში დაუცველობის განცდის მიზეზების დეტალური გამორკვევა. შესაბამისად, კვლევის მონაწილეებმა ვინც ზოგჯერ ან არასდროს გრძნობს თავს სკოლაში უსაფრთხოდ (31 %), ჰქონდათ საშუალება ღია კითხვის მეშვეობით დაეფიქსირებინათ კონკრეტული მიზეზი. სკოლაში დაუცველობის მიზეზების სპონტანური დასახელების მიხედვით, აღნიშნული სამაგიდე კვლევისთვის საინტერესო შემდეგი მიმართულებები გამოიკვეთა:

- მოსწავლეთა შორის ჩაგვრა/მუქარა - 18.7 %
- თანამედროვე ჩაცმულობა ნივთების ფლობა - 18.4 %
- სუსტი ფიზიკური მონაცემები - 18.4 %
- ბავშვებს შორის დაპირისპირება - 14.2 %
- მასწავლებლების მხრიდან ბავშვების დამცირება - 12,5%
- კონკრეტული ბავშვის ამოჩემებით ჩაგვრა - 10,8%[12]

ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით, ბულინგი ფართოდ არის გავრცელებული და ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების 1/3 ფიზიკურ და სოციალურ განვითარებაზე. მრავალფეროვანი ბულინგის ფორმებია გამოკვეთილი - თუმცა უმეტესწილად ფიზიკური და მორალური წნეხია გამოსარჩევი. აქვე ცხადია, რომ გამოკითხული მოსწავლეების დიდი ნაწილი სკოლის მიმართ ზოგად კეთილგანწყობას ინარჩუნებს - რაც მინიმუმ ნაწილობრივ ხელშემწყობ და მხარდამჭერ სასკოლო გარემოს არსებობაზე მიუთითებს. თუმცა ყურადღსაღებია მოსწავლეთა 1/3 მოსაზრებები, რომელზეც მხარდამჭერი გარემო არ ვრცელდება. აგრეთვე, კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ გამოკითხულ მოსწავლეთა 10 პროცენტს ''უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელოს'' დებულებებში განსაზღვრულ ძალადობის ფორმებიდან ერთ–ერთი მაინც აქვს გამოცდილი. აშკარაა, სასკოლო საგნებში წარუმატებლობა, სოციალური შესაძლებლობები და ფიზიკური მონაცემები - ფსიქოლოგიურ სტრესს და თანატოლებისაგან გაუცხოებას განაპირობებს, რაც შესაძლოა აგრესიის და ძალადობის გამოვლინებების ერთგვარი საფუძველი იყოს.

გამოკითხულთა 28,6% გენდერული გამოხატვის ნიშნით ბულინგზე აკეთებს აქცენტს, ვინაიდან მოსწავლეებზე ძალადობის მნიშვნელოვან მიზეზად ბავშვების მასკულინური და ფემინური ხასიათის სოციალიზაცია სახელდება – „ბიჭი უნდა იყოს მამაკაცური და გოგო - ქალური, თორემ იჩაგრებიან“[13]. მოცემული პროცესი ძალიან საინტერესოა, რადგან სასკოლო გარემო ასახავს საზოგადოებაში მკაცრად დანერგილ გენდერულ როლებს და შესაბამისად სასკოლო დონეზე, მცირე გადახვევაც კი გენდერული ნიშნით ბულინგში გამოიხატება. თუმცა მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არ იცის კონკრეტული ტერმინების მნიშნელობა, მაგალითად: "ჰომოფობია", "ტრანსფობია", "გენდერული სტერეოტიპები". აგრეთვე, გამოკითხულთა 44 %-ს მოსაზრებით გენდერული ნიშნით ჩაგვრის ძირითადად შემსრულებლები არიან სხვა ბავშვები, 16 %-ს აზრით მასწავლებელები ხოლო 9 პროცენტი მიიჩენევს

[12] კვლევა ქვიარბულინგი სკოლაში, 2020
[13] იგივე

რომ სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლები. ამას თან ერთვის ის ფაქტი, რომ კვლევის მონაწილეების ¼ თითონ არის შესწრებული მსგავს ფაქტს, რაც საკმაოდ დიდი ციფრია, ბულინგის აღრიცხვის მიმართულებით.

კვლევის ფარგლებში იკვეთება, რომ სკოლის ასაკში უმრავლესობამ არ იცის, გენდერული ნიშნით ბულინგის წინააღმდეგ როგორ იბრძოლოს და მშობლების და მასწავლებლების მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, გამოსავალს ვერ ხედავენ. ერთადერთ გამოსავალს საკუთარი ორიენტაციის და იდენტობის დამალვაა, რაც ფაქტობრივად თავდაცვის ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა. ამასთან, მაშინაც კი, როცა მათ ირგვლივ სხვებიც იგივე ან სხვა ნიშნით იჩაგრებიან, სოლიდარობის გამოხატვა უჭირთ ან ვერ პოულობენ ამის შესაძლებლობას.

ამავე კვლევის მიხედვით, საინტერესო შედეგები გამოვლინდა მასწავლებლების მხრიდან, რაც მოსწავლეებითან შედარებით უფრო ოპტიმისტურია. გამოკითხულ მასწავლებელთა 43 % მიიჩნევს, რომ ძალადობა, როგორც პრობლემა სკოლებში აქტუალური არ არის. მხოლოდ გამოკითხულთა ¼ ასახელებს მოცემულ პრობლემას აქტუალურად. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 5,3% მიიჩნევს, რომ მათ სკოლაში ადგილი აქვს სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებს, რომლებიც შესაძლებელია გამოხატული იყოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური, ჰომოფობიური და ა.შ. ძალადობის ფორმით. გამოკითხულ მასწავლებელთა მხოლოდ 2,4% მიიჩნევს, აქტუალური პრობლემაა ჰომოფობიური ძალადობა. მოსწავლეთა მხრიდან მიღებული პასუხები, ფარდას ხდის მასწავლებლების მხრიდან ბულინგზე ინერტულობის მიზეზებს. გამოკითხულ მოსწავლეთა 34,7%–ის გადმოცემით, მასწავლებელი თვითონვე ასრულებს წამქეზებლის როლს, ხოლო 14,3%-ის აზრით თავად ჩაგრავს ბავშვებს მითუმეტეს, თუ ბიჭი ფემინური ან გოგონა მასკულინური ნიშნითაა გამორჩეული[14].

[14] კვლევა ''ქვიარ ბულინგი სკოლებში'', 2020

თავი IV: ეროვნული სასწავლო პროგრამის და სასკოლო საგნების ანალიზი

სასკოლო საგნების ანალიზი, ეროვნული სასწავლო პროგრამის შესაბამისად მნიშვნელოვანია, რათა დადგინდეს სწავლების მექანიზმები და მიმართულებები - თუ რა საკითხებზე არის გამახვილებული ყურადღება და სწავლების პროცესი როგორ უზრუნველყოფს ბულინგის და ძალადობის პრევენციას.

სკოლის დონეზე შეისწავლება საზოგადოებრივი მეცნიერებები, რაც უმნიშვნელოვანესია მოსწავლის პიროვნული განვითარების და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებული საგნების შესწავლის გზით მოსწავლე შეიმეცნებს ოჯახზე, უშუალო გარემოსა და სამშობლოზე ზრუნვის აუცილებლობას; ადამიანის სიცოცხლის, ღირსებისა და უფლებების პატივისცემას; მოქალაქეობრივ სიმამაცეს, თანასწორობასა და შემწყნარებლობას[15].

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მიხედვით, საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლა ზოგადი ამოცანების საფუძველზე, ხელს უწყობს:

- მოსწავლის პიროვნულ განვითარებას
- მოსწავლის ჰუმანური ღირებულებების ჩამოყალიბებას
- მოსწავლის სოციალური უნარების განვითარებას;
- მოსწავლის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას[16];

სკოლის დაწყებით საფეხურზე - მე-3 და მე-4 კლასში - საგანი „მე და საზოგადოება'' ისწავლება, რომელიც გაერთიანებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტში. საგანს გააჩნია სამი სამიზნე მიმართულება, თუმცა უშუალოდ კვლევის პროცესისთვის მხოლოდ რელევანტურია: **სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა, უსაფრთხოება** - რომელიც მოიცავს ჰუმანური ღირებულებების (არაძალადობრივი გზებით მოქმედება, შემწყნარებლობა, თანასწორობა) ჩამოყალიბებას და აქტიური მოქალაქის აღზრდის პროცესს. აღნიშნულ სამიზნე მიმართულებას გააჩნია 9 შედეგი, თუმცა 6 მათგანზე შევაჩერებთ, რომლებიც ხელს უწყობს ძალადობის და ბულინგის შემთხვევების შემცირებას შემწყნარებლური ღირებულებების განვითარების მხრივ. თითოეული შედეგის შესრულების ფარგლებში, მოსწავლემ გარკვეული კომპეტენციები (უნარები, ღირებულებები) უნდა გამოიშუშავოს, რომელიც გავლენას მოახდენს მის ზოგად ქცევაზე.

შედეგების ინდექსი:

საზ.მეც.დაწყ.(I).10: ღირებულებების (მაგ. ეთიკური ქცევის ნორმების დაცვა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების გააზრება და დაფასება) რეალურ სიტუაციებთან დაკავშირება;

საზ.მეც.დაწყ.(I).12: მოსწავლის საცხოვრებელ გარემოში წარმოდგენილი სხვადასხვა სოციოკულტურული ინსტიტუტის ფუნქციების გაცნობიერება;

საზ.მეც.დაწყ.(I).13: ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერება, ასევე ოჯახისა და

[15] ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი XV. საზოგადოებრივი მეცნიერებები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები;

[16] იგივე

საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გააზრება;

საზ.მეც.დაწყ.(I).14: ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ;

საზ.მეც.დაწყ.(I).16: კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა;

წლიურ სტანდარტზე დაყრდნობით, შესაძლებელია, შევისწავლოთ თუ რამდენად კარგად არის სწავლების პროცესში, გაშლილი შემდეგი თემები: ბავშვის უფლებები, მრავალფეროვნება, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება და ა.შ; აღნიშნული საკითხების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა აუცილებელია მოსწავლეებისთვის ბულინგის პრევენციის და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

სტანდარტის გაცნობის შემდგომ აღმოჩნდა, რომ ბავშვთა უფლებების და მოვალეობების ნაწილში, ძირითადად საუბარია ბავშვის მოვალეობებზე - ოჯახის, სკოლის და საზოგადოების წინაშე. სტანდარტის დოკუმენტში, არაფერი არ არის ნათქვამი ბავშვის უფლებებზე, მოვალეობის გარეშე - თუნდაც ოჯახურ გარემოში. ასევე არ არის ნახსენები და განმარტებული თუ რა არის ბულინგი, რას ნიშნავს, როგორ ამოიცნონ, როგორ დაიცვან თავი და დახმარების მიზნით ვის მიმართონ. მაგალითისთვის საკმარისია, ზემოთ მოყვანილი დებულებებიდან, მე-14 პუნქტის მოშველიება: ‘’**ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა’’.** ამასთან დაკავშირებით საკვანძო კითხვები სტანდარტის მიხედვით შემდეგია: *როგორ გამოვხატო პატივისცემა ოჯახის წევრების (დედ-მამის, და-ძმის, ბებია-ბაბუის) მიმართ? რატომ მინდა მოვიქცე კარგად? რა მიზეზი კარნახობს ადამიანებს ზნეობრივ საქციელს? რატომ უნდა ვცე პატივი დედას და მამას? როგორ ვინაწილებთ შრომას ოჯახში და ა.შ;* მსგავსად არის გაწერილი, ზემოთ აღნიშნული პუნქტების აღსრულება სტანდარტის მიხედვით, სადაც ძირითადად საუბარია ბავშვის მოვალეობებზე და არა უფლებრივ მდგომარეობის გათავისებაზე.

აგრეთვე, სტანდარტში მრავალფეროვნების საკითხები საკმარისად გაშლილი არ არის. უფრო პირიქით, მრავალფეროვნებისადმი მიძღვნილი საკითხი საკმაოდ ბუნდოვნადაა წარმოდგენილი და ერთგვარ გამოწვევად შეიძლება იქცეს მასწავლებლისთვისაც და ბავშვებისთვისაც. აქაც განვიხილოთ მაგალითი: მე-16 პუნქტის მიხედვით: **მოსწავლემ უნდა შეძლოს კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა,** თუმცა აღნიშნული შედეგის საკვანძო კითხვები ასე ჟღერს: *როგორ ავირიდოთ ან გადავჭრათ თანატოლებთან კონფლიქტი მშვიდობიანად? რატომ არ შეიძლება რელიგიური შეხედულების/რწმენა-წარმოდგენის სახელით ძალადობა?* აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ მეორე საკვანძო კითხვაზე. ამ კითხვის დასმა აღნიშნული სტანდარტის შედეგთან, უკვე შეცდომაა ვინაიდან წინასწარ აჩენს განწყობას, რომ რელიგიური რწმენა წარმოდგენები შესაძლოა იყოს კონფლიქტის მიზეზი. აგრეთვე, რიგ შემთხვევაში არ ჩანს კონფლიქტის მოგვარების მიმართულება ან კონფლიქტის მიზეზის დაგმობის გზები.

სტანდარტი სრულად უნდა ემსახურებოდეს ბულინგის პრევენციას და მრავალფეროვნების თემის გაშლას მოსწავლეებში და სწორედაც, რომ ეს 3-4 კლასიდან უნდა იწყებოდეს, სადაც საუბარი უნდა იყოს ბავშვთა უფლებებზე, მოვალეობზე და აგრეთვე ბულისნგის შემთხვევაში თავდაცვის მექნიზმებზე.

მოქალაქეობის სტანდარტი მეშვიდე მეცხრე კლასისთვის:

ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024 წწ), მოქალაქეობის სტანდარტის (მე-7, მე-8 და მე-9 კლასებისთვის) მიხედვით სწავლების შედეგები დაჯგუფებულია სამი მიმართულებით:

1) პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია - გულისხმობს მოსწავლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას და მისი მხრიდან სოციალური ნორმების, ქცევის მოდელებისა და ღირებულებების გათავისებას;

2) ინიციატივა და მეწარმეობა - გულისხმობს ინოვაციურ და კრიტიკულ აზროვნების გაღვივევებას. მოსწავლეს უნდა შეეძლოს აბსტრაქტული იდეების საქმედ ქცევა და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება;

3) *სამოქალაქო მონაწილეობა და უსაფრთხოება* - გულისხმობს საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც საერთო ჯამში გამოიხატება საზოგადოებისთვის სასარგებლო სამოქალაქო და სოციალური აქტივობების არაძალადობრივი მეთოდებით, სრულიად კანონის დაცვით განხორციელებას.

ზემო ჩამოთვლილი მიმართულებებიდან, კვლევისთვის საინტერესოა პირველი და მესამე საკითხების ზოგიერთი შედეგი.

შედეგების ინდექსი:

მოქალაქეობა საბაზისო 2: საკუთარი თავის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წევრად აღქმა.

მოქ.საბ.3: საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა.

მოქ.საბ.4: დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება.

მოქ.საბ.9: საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა.

მოქ.საბ.11: ცხოვრებისეულ და საგანგებო ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება.

მოქ.საბ.12: სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა.

მოქ.საბ.13: საკუთარი გადაწყვეტილებების/შეხედულებების უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე დასაბუთება.

დაწყებითი საფეხურის სტანდარტისგან განსხვავებით საბაზო სახეხურზე, უფრო ფართოდაა გაშლილი ისეთი საკითხები, როგორიცაა განსხვავებული შეხედულებების პატივისცემა, როგორ გადავჭრათ სკოლაში არსებული სირთულეები არაძალადობრივი მეთოდებით და რატომ ყალიბდება სკოლაში სტერეოტიპები. ეს მასწავლებლებს უფრო მეტ საშუალებას აძლევს მეტი დრო დაუთმონ ბულინგის საკითხებს და მოსწავლეებს მიაწოდონ თეორიული მასალა, შესაბამისი პრაქტიკული აქტივობების დემონსტრირებუთურთ. აგრეთვე, სკოლაში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ: ბულინგი, განათლების უფლების რეალიზაცია, უსაფრთხო სკოლა და ა.შ;

თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად ბულინგთან დაკავშირებული საკითხები მაინც მწირად არის წარმოდგენილი დოკუმენტში. უფრო მეტიც, არ არის საუბარი ბულინგის იდენტიფიცირებასა და მნიშვნელობაზე, იდენტიფიცირების შემდგომ მოქმედებაზე, ბულინგის პრევენციის გზებზე, აგრეთვე თუ ვის უნდა მივმართოთ დასახმარებლად და თავდაცვის გზები. ერთადერთ ადგილას ვხვდებით მკვიდრ წარმოდგენას, სადაც საუბარია, რომ ბავშვს უფროსის დამოუკიდებლად შეუძლია განცხადების გაგზავნა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში. არსადაა ნახსენები ადგილობრივ მარეგულირებელი დოკუმენტი, კონსტიტუციის გარდა. ზოგადი ინფორმაციის მიწოდება, მექანიზმების ახსნის გარეშე, არ არის დამაკმაყოფილებელი ახალგაზრდებისთვის. მოცემულ ნაწილში, სავალდებულოა გაწერილი იყოს, თუნდაც გაეროს ბავშვთა კომიტეტში წერილის გაგზავნის მექანიზმი. აგრეთვე, ადგილობრივი მარეგულირებელი დოკუმენტები, თავიანთი მექანიზმებით.

აღსანიშნია, რომ ძალიან ზოგადად არის მრავალფეროვნების თემა წარმოდგენილი, როგორც ეთნიკური ასევე რელიგიური მიმართულებით. საერთოდ არაფერი არ არის ნახსენები ქვიარ ადამიანების უფლებრივ საკითხებსა და მდგომარეობაზე.

2018 წელს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებების აკადემიამ დანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტის ფინანსური დახმარებით ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ადამიანის უფლებების სწავლების ხელშესაწყობად, პროექტი განახორციელა. პროექტის ფარგლებში, საჯარო და კერძო სკოლებში მთელი საქართველოს მასშტაბით, ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა ადამიანის უფლებების სწავლებასა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეებში. ზოგადი განათლების საფეხურზე ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს კვლევამ ცხადყო, რომ სამოქალაქო განათლების გაძლიერების მიმართულებით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ადამიანის უფლებების ნაწილს სასწავლო პროგრამებში ჯერ კიდევ მოკრძალებული ადგილი უკავია და ეს საკითხები ძირითადად საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის საგნებშია ასახული. ადამიანის უფლებების ასპექტები არ არის/ან მცირე დოზით არის წარმოდგენილი სხვა საგნობრივ ჯგუფებში. მიუხედავად ამ კვლევის არსებობისა ახალ სასწავლო გეგმაში, არ მოხდა გათვალისწინება და აღმოფხვრა იმ ლაფსუსებისა რაც იყო ძველ სასწავლო გეგმაში (2011 – 2016) როგორც ზემოთ ვნახეთ სამოქალაქოს სტანდარტის გახილვისას პრობლემა პრობლემად დარჩა.

აქ უკვე ცოტა ვრცლად ვისაუბროთ აღნიშნულ კვლევაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა საკითხები დეტალურად არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, სამოქალაქო განათლება) ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რასაც ვერ ვიტყვით სხვა საგნების ეროვნულ სასწავლო გეგმაზე. ამ თვალსაზრისით, ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანი და სპორტი. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგანში, ადამიანის უფლებების სწავლების თვალსაზრისით, კონკრეტული მიმართულებებია წარმოდგენილი და განხილული. კერძოდ, საუბარია ინტელექტუალური საკუთრების, პირადი ინფორმაციის დაცვის, ადმინისტრირებისას სხვისი უფლებების შეზღუდვის დაუშვებლობის, საავტორო უფლებების საკითხებზე (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016). სპორტის ეროვნული სასწავლო გეგმა აქცენტს აკეთებს მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებზე ბავშვთა უფლებების მიმართულებით, აგრეთვე, მოსწავლის ჩართულობაზე გარემოს დაცვის, ბავშვთა უფლებების დაცვის, ხანდაზმულებზე მზრუნველობის გაერთიანებაში (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016). საზოგადოებრივი

მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში, ადამიანის უფლებათა საკითხები სამივე საფეხურზე, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე,საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი და მოიცავს ადამიანის უფლებათა შესახებ როგორც ცოდნას, ასევე დამოკიდებულებებისა და უნარების ფორმირებას. აქვე აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების ფარგლებში იგეგმება სამოქალაქო განათლების კომპონენტის გაძლიერება. სამინისტრო 2019 წლიდან საბაზო საფეხურზე ახალი საგნის, „მოქალაქეობის“ შემოტანას გეგმავს, რომელიც თავის თავში უფრო აქცენტირებულად გააერთიანებს სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის საკითხებს სწორედ სამოქალაქო განათლების და ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით. თუმცა წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში ძირითადი აქცენტი დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებაზე კეთდება და ძალიან მწირად არის წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა სწავლება. მნიშვნელოვანია აქცენტების გაკეთება არამხოლოდ ვალდებულებებზე, მოქალაქეობის სწავლების კონტექსტში, არამედ უფლებებზეც. შესაბამისად, საგანს, „მოქალაქეობა“, ეს კომპონენტი ნამდვილად აკლია.

სახალხო დამცველის ადამიანის უფლებების აკადემიამ 2018 წელს ჩაატარა კვლევა - ზოგადსაგანმანთლებლო სივრცეში ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობის მიმართულებით. კვლევის ფარგლებში, სასკოლო დონეზე ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ მიმართულების კითხვარი მოიცავდა სპეციალურ ქვეთავს, სადაც სწორედ სწავლების თვალსაზრისით იყო გაანალიზებული ადამიანის უფლებათა საკითხები. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ იყენებს ადამიანის უფლებათა სწავლების მეთოდებს საკუთარი საგნის სწავლების პროცესში. ასევე საგულისხმოა, რომ მასწავლებელთა 37% აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ აქტივობებს სკოლის ადმინისტრაციის ან საგანმანათლებლო რესურსცენტრისგან მითითება უდევთ საფუძვლად. თუმცა მათგან, მხოლოდ 60% ახერხებს კონკრეტული აქტივობის დასახელებას, რაც ერთი მხრივ აჩენს ეჭვს. მეორე მხრივ, საკუთარი ინიციატივით ადამიანის უფლებათა საკითხებზე აქტივობები განხორციელებული აქვს გამოკითხულ მასწავლებელთა 50,4%-ს. ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, თუმცა შედეგები გაცილებით უფრო დაბალია, როცა კითხვა კონკრეტული აქტივობების დასახლებას ეხება. ამასთან, კონკრეტული აქტივობების ჩამოთვლისას მასწავლებლები ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლებიან და ასახელებენ დისკუსიას, კლასის საათს, წერით დავალებას, თავისუფალ გაკვეთილს, გაკვეთილზე თემის განხილვას, საუბარს მოსწავლეებთან და მშობლებთან, ურთიერთგაგებას, სასწავლო პროგრამებს, გაკვეთილზე საუბარს და ა.შ. პასუხებად გხვდება, კონკრეტული საკითხები და აქტივობებიც, თუმცა მათი ხვედრითი წილი საკმაოდ მცირეა. რაც შეეხება სასკოლო დონეზე ჩატარებულ ღონისძიებებს, მასწავლებელთა 9% ასახელებს, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ღონისძიებები სკოლაში ტარდება და კონკრეტული ჩამონათვალის გრაფაში მითითებული აქვთ ძალიან კონკრეტული და მრავალფეროვანი სასკოლო ღონისძიებები, რომლებიც ადამიანის უფლებების სწავლებას უკავშირდება.

იგივე კვლევის მიხედვით, გამოკითხულ მოსწავლეთა 79.9 % სკოლაში სწავლობს ადამიანის უფლებებს, ხოლო 14.9% - არ სწავლობს. სხვადასხვა ჭრილის მიხედვით გამოვლინდა მცირე განსხვავებები, კერძოდ: საჯარო სკოლის მოსწავლეების 82.4 % ასახელებს, რომ სწავლობს ადამიანის უფლებების საკითხებს სკოლაში, ხოლო 12.5%-მა მიუთითა, რომ - არ სწავლობს. კერძო სკოლებში მოცემულ საკითხთან მიმართებით უფრო ცუდი სიტუაციაა. კონკრეტულად კი მოსწავლეების - 70.3% ადასტურებს ადამიანის უფლებების საკითხების სკოლაში სწავლას, 23.7% კი - უარყოფს. ადამიანის უფლებების საკითხების სკოლაში სწავლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ყველაზე

მცირეკონტინგენტიან სკოლაში (1-100 მოსწავლე) - 97.9%. როგორც კვლევამ აჩვენა, მოსწავლეების აზრით, სხვადასხვა საგნიდან ადამიანის უფლებათა საკითხებს ყველაზე მეტად მოიცავს (მეტ-ნაკლებად და/ ან სრულად) სახელმწიფო ენები (75.7%) და საზოგადოებრივი მეცნიერებები (90.6%), ხოლო ყველაზე ნაკლებად („არ მოიცავს“) - მათემატიკა (74.8%), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (63.5%), ტექნოლოგიები და სპორტი (59.5%).

ბულინგის გავრცელების პრაქტიკის შესწავლა და სხვადასხვა გამოცდილების გაზიარება - ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება არსებული პრობლემის მოგვარების მიმართულებით. მოცემული კვლევის ფარგლებში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითებს წარმოვადგენთ. უფრო დეტალურად აღვწერთ, არსებულ სიტუაციას ბულინგის მართვის მიმართულებით, წარსულში ჩატარებულ რეფორმებს და მის შედეგებს, აგრეთვე ზოგად დამოკიდებულებებს საზოგადოების მხრიდან ბულინგის შემთხვევებთან მიმართებაში.

გერმანია

Deutsche Welle-ს 2004 წლის სტატიის მიხედვით, გერმანიაში ბულინგის წინააღმდეგ ახალი, პრევენციული ზომების მიღება დაიწყო[17]. ყველაფერი პროფესიულ კოლეჯში ძალადობის ფაქტით დაიწყო, სადაც სასწავლო საათების პროცესში ჯგუფური ძალადობა თვეების განმავლობაში გრძელდებოდა. მოცემული ფაქტის დაფიქსირებას, დომინოს ეფექტი მოჰყვა და უფრო მეტ ძალადობის ფაქტს აეხადა ფარდა, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ხდებოდა. აღნიშნულ ძალადობის ფაქტებს ოფიციალური პირები გამოეხმაურნენ და *ძალადობის ადრეული პრევენციის* მნიშვნელობაზე ალაპარკდნენ. პირველი ნაბიჯი, ვიდეო კამერების დამონტაჟება აღმოჩნდა სასკოლო ბაზაზე. თუმცა აღნიშნული ნაბიჯი ექსპერტებმა გაკრიტიკეს , რადგან კამერების მონტაჟი ვერ შეუწყობს ხელს ძალადობის პრევენციას - ძალადობა შესაძლოა კამერისგან დაფარულ ადგილას განხორციელეს. ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ კამერების ნაცვლად სკოლის ადმინისტრაციამ უნდა შექმნას - ერთიანობის (ერთი თემის) განცდა და მოსწავლეები ჩართონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მიუნჰენის ლუდვიგ-მაქსიმილიანენის უნივერსიტეტის, ახალგაზრდების ძალადობის მიმართულების ექსეპერტი - მეჩილდ შეფერი (Mechthild Schäfer) აღნიშნავს, რომ მასწავლებლებმა უნდა შეძლონ პრობლემის ადრე დაფიქსირება, სანამ უშუალოდ ძალადობის პროცესი მოხდება. მასწავლებლებმა უნდა მოახერხონ ''დემოკრატიის ძირითადი წესების'' საკლასო ოთახში დანერგვა და უნდა აღმოფხვრან ძალადობის კულტურა მოსწავლეებიდან. მოცემული მიზნის მიღწევა, შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლებით მიიღწევა - სკოლის მასწავლებლები უნდა ღებულობდნენ სპეციალურ ტრენინგებს პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლების დროს. როგორც შეფერი აღნიშნავს, მასწავლებლები მარტოოდენ საგანს სწავლობენ, რომელიც უნდა ასწავლონ და ნაკლებ ცოდნას იღებენ მოსწავლეებთან ურთიერთობის მიმართულებით.

2015 წლის პიზის კვლევის შედეგების მიხედივთ[18] გერმანელი თინეიჯერების 15.7 % ბულინგის რეგულარულ მსხვერპლს წარმოადგენდა. ჩაგვრის ინტენსივობა თვის განმავლობაში მინიმუმ რამდენიმე ინციდენტით შემოიფარგლება. ამ მონაცემების მიხედვით, ყოველი მე-6 მოსწავლე არის ბულინგის მსხვერპლი, თუმცა უფრო ნაკლებია ვიდრე OECD-ის საშუალო მონაცემები, სადაც ყოველი მე-5 მოსწავლე არის ბულინგის მსხვერპლი[19]. იგივე კვლევის მიხედვით, ყოველი მე-10 გერმანელი

[17] German Schools Struggle With Bullying, deutsche Welle, 11.02.2004
[18] PISA 2015 Results (Volume III)
[19] იგივე

თინეიჯერი (9.2 %) არის დაცინვის და შეურაცყოფის მსხვერპლი, ხოლო თინეიჯერების 2.3 პროცენტის განცხადებით ფიზიკური ძალადობის (ხელის კვრა ან ფიზიკური დარტყმა). აგრეთვე, თინეიჯერების 7.3 %-ს განუცდია ჭორების გავრცელებით მოგვრილი ჩაგვრა. აგრეთვე, კვლევა მიმოიხილავს გენდერულ ნარატივებს. კვლევის მიხედვით, ბიჭები შედარებით უფრო მეტად არიან ფიზიკური ჩაგვრის მსხვერპლნი, ხოლო გოგონები - მავნე ჭორების. ამასთან აღსანიშნია, რომ ახალი იმიგრანტები შედარებით, უფრო მეტად განიცდიან ყველა ფორმის ჩაგვრას თინეიჯერობის პროცესში ვიდრე სხვები. მოცემულ კვლევას, გერმანიაში შესაბამისი ეფექტური ნაბიჯები მოჰყვა, რომელიც მოიცავს: ტრენინგებს ბულინგის ქცევის მართვის მიმართულებით მასწავლებლებისთვის, ანონიმური გამოკითხვები, რომელიც მიზნად ისახვს ბულინგის პრევენციის მონიტორინგს და სპეციპიკური სტრატეგიის ჩამოყალიბებას, რომელიც მიზნად ისახავს მშობლების უფრო მეტ ჩართულობას სასკოლო პროცესში. საერთო ჯამში, მასწავლებლებმა და მშობლებმა უნდა შეასრულონ შედარებით დიდი როლი სასკოლო ბულინგის პრევენციის მიმართულებით. უფრო კონკრეტულად კი, მასწავლებლებმა მოსწავლეებთან კომუნიკაციის პროცესში ყოველთვის უნდა დააფიქსირონ, რომ ბულინგის არცერთ გამოვლინებას რეაგირების გარეშე არ დატოვებენ და აუცილებლად იმოქედებენ; აგრეთვე, მშობლები უნდა ჩაერთონ სასკოლო პროცესებში, რათა შემცირდეს ბულინგის დონე.

2017-2018 წლებში HBSC-ის მიერ გერმანიაში ჩატარდა კვლევა ''ბავშვებს და მოზარდებს შორის ტრადიციული და ონლაინ ბულინგის'' შესახებ. კვლევის შედეგების მიხედვით, ბულინგი და კიბერბულინგი - კვლევის მონაწილეების 13 პროცენტს პირდაპირი გზით ჰქონდა გამოცდილი: ბულერის, ბულინგის მსხვერპლის ან ორივე როლის მეშვეობით[20]. ბულინგის ტიპების მიხედვით, ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბავშვების და მოზარდების განსაკუთრებით დიდი ნაწილი იყო ჩართული ვერბალური და ურთიერთობითი ბულინგის ინციდენტებში. შედარებით მცირე ოდენობის ფაქტი, დაფიქსირდა ოფიციალურად - სადაც მოზარდებმა აღიარეს, რომ ან იყვნენ ბულინგის ინიციატოვები და ან მსხვერპლნი. აგრეთვე, მოცემული მაჩვენებელის მიხედვით რთულია ტრადიციული ბულინგის და კიბერბულინგის განსხვავება. ამავე კვლევის ანალიზის მიხედვით, მკვეთრი სხვაობა 2002 და 2018 წლის მონაცემებს შორის. ცალკეულად 2002 წელს გამოკითხული მოსწავლეების 13.2 პროცენტი იყო ბულინგის ინიციატორი, ხოლო 2018 წელს 3.9 %. 2002 წელს გამოკითხული მოსწავლეების 9.5 % იყო ბულინგის მსხვეპრლი, მაშინ როცა 2018 წლისთვის ეს რიცხვი - 8.3 %-მდე შემცირდა[21].

საერთო ჯამში, ბულინგის სიხშირის შემცირება და მცირედით სტაბილიზაცია ხაზს უსვამს ბულინგის საწინააღმდეგო პროაქტიული ინტერვენციების მნიშვნელობას. ბულინგის შემცირების მიუხედავად, ყოველი მე-7 მოსწავლე ჩართულია ბულინგის პროცესში (როგოც ბულერი ასევე მსხვერპლი) - რაც მიანიშნებს, რომ ბულინგი ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული საკლასო ოთახებში. კვლევის შედეგებით შემდეგი დასვკნები გამოვლინდა: 1) სასკოლის მასშტაბით გრძელვადიანი ეფექტური ანტიბულინგური სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება უნდა გაფართოვდეს. მასწავლებლები ამ პროცესში მთავარ როლი უნდა შეასრულონ. მათი მხარდაჭერის ხარისხი უნდა გაიზარდოს, რათა ამოიცნონ ბულინგის ფაქტები და შესაბამისად ეფექტური რეაგირება მოახდინონ. 2) საჭიროა

[20] Traditional bullying and cyberbullying among children and adolescents in Germany, page 61

[21] Traditional bullying and cyberbullying among children and adolescents in Germany, page 60

მასწავლებლებმა გააცნობიერონ და შემთხვევების დოს დაუკავშირდნენ გარე პარტნიორებს, რომლებიც გერმანიაში ფართოდ მოქმედებენ, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად - ანტი-ბულინგ ცენტრებს[22].

1994-1996 წლებში შლეზვიგ-ჰოლშტაინში (გერმანიის ჩრდილოეთ მიწა) ჩატარდა კვლევა ''ძალადობის და აგრესიის პრევენცია სკოლებში'', რაშიც მონაწილეობა დაახლოებით 47 სკოლამ მიიღო საკუთარი განაცხადის საფუძველზე[23]. პროგრამის ჩაშვებამდე სკოლებს სთხოვეს შემდეგი ნაბიჯები გადაედგათ: 1) შეევსოთ სპეციალური კითხვარი, სადაც შეფასდებოდა პირდაპირი და არა პირდაპირი ბულინგის პროცესი; 2) სწავლების დღის ორგანიზება, სადაც განხილული უნდა ყოფილიყო სკოლის ფსიქოლოგის მიერ კვლევის შიდა შედეგები; 3) კონფერენციის ორგანიზება, სადაც უშუალოდ ანტი-ბულინგის დასანერგ პროგრამაზე იქნებოდა საუბარი;

პროგრამის განხორციელებისთვის ზოგიერთ სკოლაში დირექტორებმა ან მასწავლებლებმა საკოორდინაციო ჯგუფი შექმნეს, ხოლო რამდენიმე სკოლაში მარტოოდენ დირექტორი იყო პასუხისმგებელი პირი. აგრეთვე, უმეტესმა სკოლამ მშობლები აქტიურად ჩართო ანტი-ბულინგის პროგრამაში, სადაც გარკვეული პასუხიმსგებლობა მიენიჭათ. აგრეთვე, სკოლებს შეეძლოთ ესარგებლათ გარე ექსპერტების მხარდაჭერით - სხვადასხვა აქტივობების ორგანიზების პროცესში, თუმცა მხოლოდ ჩართული სკოლების ნახევარმა ისარგებლა აღნიშნული შეთავაზებით.

აღნიშნული პროგრამის ძირითადი აქტივობები თანმიმდევრობის მიხედვით ასე გამოიყურებოდა: 1) სკოლის ეზოს რესტრუქტურიზაცია; 2) კლასის წესების ჩამოყალიბება ბულინგის წინააღმდეგ; 3) მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების კურსები; 4) მსხვერპლებსა და მოძალადეებს შორის კომუნიკაციის პროცესის დამყარება; 5) ბულინგის შესახებ რეგულარული საკლასო დისკუსიების ორგანიზება; 6) უკეთესი მეთვალყურეობა შესვენების დროს; 7) საუბარები პროგრამაში აქტიურად ჩართულ მოსწავლეების მშობლებთან; 8) თანამშრომლობითი სწავლება; 9) საერთო საკლასო აქტივობები; 10) მასწავლებლებსა და მშობლებს შორის თანამშრომლობის გამყარება; ოლვეუსი პროგრამის ძირითად ნაწილად მიიჩნევს ბულინგის წინააღმდეგ კლასის წესების შემუშავებას. აქტივობების ჩამონათვალიდან ჩანს, რომ ეს აქტივობა სკოლაში პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო; თუმცა ეს არ იყო ყველაზე გავრცელებული აქტივობა სკოლებში.

2 წლიანი კვლევის შედეგების მიხედვით კი, ზემო ხსენებული პროგრამის გატარების და სკოლის მართვის პროცესებში ჩართულობის ამაღლების შემდეგ ბულინგის შემთხვევების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, რამაც მნიშვნელოვან პროცესს ჩაუყარა საფუძველი, რათა მოცემული პროგრამას ჰქონოდა გაუმჯობესების საშუალება და გერმანიის სხვა მიწების სკოლებში გავრცელების შესაძლებლობა.

მიუხედავად, იმისა რომ გერმანიაში ბულინგის წინააღმდეგ აქტიური ქმედება გასული საუკუნის 90-იან წლებიან დაიწყო და მნიშვნელოვანი წარმატებაც არის ამ მხრივ მიღწეული, მაინც რთულია ბულინგის სრული პრევენცია და აღმოფხვრა სასკოლო ცხოვრებიდან. ამის გამომწვეული მიზეზებია, ტექნოლოგიური პროგრესი და ბულინგის პროცესების ადაპტირება. საერთო ჯამში, გერმანია ფედერაციული მიწების დონეზე მნიშვნელოვან ბრძოლას უცხადებს ძალადობას და ბულინგს საჯარო სკოლებში.

---

[22] იგივე

[23] Prevention of bullying in German schools: an evaluation of an anti-bullying approach, Reiner Hanewinkel

ჩეხეთის რესპუბლიკა

მცირედით განსხვავებული მდგომარეობა და მიდგომა არსებობს ჩეხეთის რესპუბლიკაში ბულინგთან მიმართებაში. მასარიკის უნივერსიტეტის მკვლევარების მოსაზრებით ჩეხეთში მოსწავლეებს შორის კიბერბულინგი უფრო ფართო არის გავრცელებული, ვიდრე დანარჩენ ევრუპულ ქვეყნებში[24]. მოცემული რეალობის საპასუხოდ ბრნოს ერთ ერთი სკოლის მოსწავლეებმა, 2017 წელს შექმნეს სტარტაპი FaceUp.com[25], რომლის მიზანიც ჩეხეთის რესპუბლიკის სკოლებში ბულინგის, სოციუმიდან გარიყვის და სხვა სოციალური პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლაა. სტარტაპის ნაწილია *Nenech to být (არ დაუშვათ!)*, დესკტოპის და მობილური აპლიკაცია, რომელიც ეხმარება ბულინგის მსხვერპლებს. აგრეთვე, პლატფორმა აძლევს საშუალებას თანაკლასელებს (თანასკოლელებს), რომელთაც იციან პრობლემის შესახებ, თუმცა ხმის ამოღების ეშინიათ - ანონომიურად განაცხადონ ბულინგის ფაქტების შესახებ და დეტალებზე ისაუბრონ. აპლიკაციით აგრეთვე, შეუძლიათ ისარგებლონ მასწავლებლებმა და მშობლებმა და დააფიქსირონ - არასასიამოვნო ან საეჭვო ფაქტები მათ გარშემო, რომელიც ახალგაზრდებს ეხებათ. აგრეთვე, აპლიკაციას აქვს ჩათის ფუნქცია, სადაც სტუდენტებს (ბულინგის მსხვერპლი ან შემსწრე) შეუძლიათ დაუკავშირნენ მასწავლებლებს რეალურ დროში. 2020 წლისთვის აპლიკაციას 3000-ზე მეტი მასწავლებელი იყენებდა მსოფლიოს გარშემო, მაგალითად: სამხრეთ აფრიკა, პოლონეთი ან აშშ. 3 წლის განმავლობაში 5800-ზე მეტი ბულინგის შემთხვევა დაფიქსირდა აპლიკაციის მეშვეობით.

მარია სარკოვას, დაგმარ სიგმუნდოვას და მიჩალ კალმანის კვლევის ''Natioanl time trends in bullying among adolescents in the Czech Republic from 1994 to 2014'' მიხედვით 20 წლის განმავლობაში ბულინგის შემთხვევების რაოდენობა შემცირებულია. კვლევის ფარგლებში 11,13,15 წლის მოსწავლეები სქესის მიხედვით არიან დაყოფილი, რათა ასაკობრივი და გენდერული რანჟირებით ყოფილიყო ბულინგის შემთხვევების გავრცელება. უნდა აღინიშნოს. რომ თითოეულ ასაკობრივ და გენდერულ კატეგორიაში - ბულინგის გავრცელება 3-4 ჯერ შემცირდა. 1994 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გახლდათ 11 წლის ბიჭებში - 46.5 %, რომელიც 2014 წელს 16.7 %-მდე შემცირდა. გოგონებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1994 წელს - 20.7 % იყო, რაც 11.3 %-მდე შემცირდა. აღნიშნულ ცვლილებას, რამდენიმე ახსნა აქვს. პირველ რიგში აღსანიშნია, სკოლის დონეზე პოლიტიკის ტრანსფორმაცია, რომელმაც აშკარა ბულინგის შემცირებისკენ ორიენტირებული კლიმატი შექმნა. აგრეთვე, დაიწყო სასკოლო ასაკის ბავშვებში რისკის ქცევის სხვადასხვა ფორმების მონიტორინგი, შესწავლა და განხილვა რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, როგორს სასკოლო დონეზე დაფუძნებული ინტერვენციის პროგრამები. ამავე დროს, ქვეყანაში გაჩაღდა ბულინგის თემაზე ღია დისკუსიები და შეიქმნა მხვერპლთა დაცვის ეროვნული და რეგიონული ორგანიზაციები, რამაც საერთო ჯამში საკითხის მიმართ მკვეთრად გაზარდა მგრძნობელობა.

''აგრესორის მარტოოდენ დასჯა საკმარისი არ არის, მასთან საჭიროა მუშაობა'' - ვკითხულობთ ჩეხეთის რადიოს ჟურნალისტურ კვლევაში, სადაც ბულინგის წინააღმდეგ არსებული წარმატებული

[24] Students, teachers, and now companies worldwide are using a new Czech anti-bullying app

[25] https://www.faceup.com/en

გადაწყვეტილებებია თავმოყრილი[26]. თავიდნვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩეხეთის რესპუბლიკის ყველა სკოლას აქვს კონფლიქტის პრევენციის სახელმძღვანელო და ჰყავს პერსონალური ფსიქოლოგი. თუმცა ამის მიუხედავად ქალაქ სოკოლოვის ერთ ერთ სკოლაში, უპროცედენტო მაღალი ჩართულობის სისტემა აქვთ დანერგილი. საკლასო ოთახებში ყოველთვის არის ძირითადი ან დამხმარე მასწავლებელი, შესვენებების დროსაც კი. გაკვეთილის დროს დამხმარე მასწავლებლის ყოფნა საკლასო ოთახში მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადი მასწავლებელი მაქსიმალურად კონცენტრირებულია გაკვეთილის პროცესზე და ნაკლებად ამჩნევს ზედაპირის ქვეშ მიმდინარე პროცესებს. მაგალითად, რომელიღაც მოსწავლე მოწყენილია ან გაბრაზებული - რაც ბულინგის პრევენციის საშუალებას იძლევა პერსონალური გასაუბრების მეშვეობით. ასევე, ამ პროცესებში ჩართული არიან ტექნიკური თანამშრომლებიც, რომლებიც შესვენებების დროს ყურადღებას აქცევენ, რომ სადმე არ წარმოიშვას ფიზიკური ან ვერბალური ბულინგის საფრთხე. ბულინგის ან ძალადობის მძიმე შემთხვევების დროს სკოლა პოლიციასთან თანამშრომლობს, სოციალური მუშაკის თანხლებით.

ზემო აღნიშნული მეთოდები, სწრაფი რეაგირების საშუალებას იძლევა - რაც ეფექტურია. მოსწავლეები, როცა ხედავენ დაყოვნებლივ რეაქციას, ერთი მხრივ უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და მეორე მხრივ ამცირებენ ბულინგის პროცესს. აღნიშნული პრინციპის დანერგვის შემდგომ სკოლაში ბულინგის შემთხვევები შემცირდა, რაზეც პოლიციის უიაშვიათესი ჩართულობა და თვით ფაქტები მეტყველებენ. საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია მასწავლებლების და დამხმარე პერსონალის დარწმუნება, რომ ბულინგის საწინააღმდეგო აქტიური პროგრამები საჭიროა სკოლაში, ხოლო მათი ჩართულობა უმნიშვნელოვანესი. ბულინგის და ძალადობის წინააღმდეგ სასწავლო ტრენინგების არსებობა მასწავლებელთათვის მნიშვენლოვანი ნაბიჯია, რაც ჩეხეთის რესპუბლიკაში ევროკავშირის დახმარებით განხორციელდა. მოცემულმა პროცესმა უზრუნველყო, უამრავი მასწავლების ცოდნის გადაიარაღება ბულინგის წინააღმდეგ, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს შემთხვევების რაოდენობას.

[26] Czech Schools Defeat Bullies With Understanding, Vaclav Stefan

რეკომენდაციები:

ბულინგთან საბრძოლველად ყველაზე ეფექტური სტრატეგია პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და დანერგვაა ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში. როგორც გერმანიის და ჩეხეთის მაგალითზე ვნახეთ ეს საკმაოდ ეფექტურად მუშაობს. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია შემდგომი ღონისძიებების განხორციელება:

- პირველ რიგში აუცილებელია მასწავლებლების და სკოლის ადმინისტრაციის გადამზადება, იმისათვის, რომ შეძლონ ბულინგის ამოცნობა და შემდგომ უკვე სწორი ღონისძიებების გატარება. საერთო ჯამში, სკოლის სრული პერსონალის ჩართვა ბულინგის და ძალადობის მართვის საკითხებში.
- აუცილებელია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში (რაც რეალურად არსებობს) მკაცრად იყოს გაწერილი როდის უნდა მოხდეს რეფერირების განხორციელება სათანადო ორგანოებში და ეს არ იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეაფასებს ამას მასწავლებელი.
- მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაობის მოდელი რომელიც მხოლოდ 36 სკოლაშია მოიცავდეს უფრო მეტ სკოლას და ინტენსიური მუშობა დაიგეგმოს ცნობიერების ამაღლების კუთხით როგორც მასწავლებლებთან, ასევე ბავშვებთან და მშობლებთან. ბულინგის აღმოჩენის შემთხვევაში კი, სპეციალისტემის მიერ მოხდეს როგორც ძალადობის მსხვერპლის ასევე მოძალადის შეფასება და საჭიროების შემთვევაში დაიგეგმოს რეაბილიტაციის სერვისებში მათი ჩართვა (ეს არ უნდა იყოს მხოლოდ მშობლის სურვილზე დამოკიდებული).
- ეროვნულ სასწავლო გეგმაში მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ისეთ თემებს, როგორიცაა ბულინგი, ბავშვთა უფლებები, ტოლერანტობა თუ დემოკრატიის პრინციპები. განსაკუთრებით შემდეგ საგნებში როგორიცაა „მე და საზოგადოება'' და „სამოქალაქო განათლება''. ამ საგნების სტანდარტის კვლევისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნული თემები არის წარმოდგენილი, თუმცა მხოლოდ ზოგადადაა განხილული. საგნები არ ასწავლის ბავშვებს რა არის ბულინგი, როგორ დაიცვან თავი ბულინგის შემთხვევის დროს, არ უწყობს ხელს თანასწორობის იდეის დანერგვას მოზარდებში. დაწყებითი საფეხურიდან უნდა ხდებოდეს თანასწორობის პრინციპის გააზრება მოსწავლეებში ასაკის შესაბამისად. ასევე უნდა ვაწავლოთ თუ სად გადის ზღვარი ბულინგსა და ხუმრობას შორის. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ვის უნდა მიმართონ იმ შემთვევაში, თუ გახდებიან ძალადობის მსხვერპლი, ან ასეთი ფაქტის მომსწრე გახდებინ.
- ბულინგის არცერთი ფაქტი არუნდა დარჩეს რეაგირების გარეშე და აქ უნდა ჩაერთონ შესაბამის პირებთან ერთად მშობლებიც. ერთიანი სწორი და თანამშრომლური დამოკიდებულება აუცილებლად იქნება შედეგის მომტანი.
- როგორც ჩეხეთის მაგალითზე ვნახეთ ძალიან კარგად მუშაობს ონლაინ პლატფორმა, სადაც ადამიანებს ონლაინ, ანონიმურად შეუძლიათ დააფიქსირონ ბულინგის შესახებ. როგორც ვიცით დღევანდელი თაობა დიდ დროს ატარებს სოციალურ სივრცეში და კარგად იყენებს ციფრული ტექნიკის ძირითად სიკეთეებს, ამიტომ მსგავსი პლატფორმა საკმაოდ სწორი და კარგი სტრატეგია იქნებოდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ანონიმურია და უფრო დაცულად იგრძნობდნენ თავს, მეორეს მხრივ როგორც ვკითხულობთ არსებულ აპლიკაციას აქვს ჩათი სადაც ძალადობის მსხვეპლთაც შეუძლიათ ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ და აღარ ჰქონდეთ, იმის გაცნდა, რომ ეს მხოლოდ მათ დაემართათ და ამიტომ უფრო მეტად ტრამვირებულად არ იგრძნონ თავი.

დასკვნა

საერთო ჯამში, კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ საჯარო სკოლებში არსებობს თეორიული მასალა შემუშავებული დოკუმენტების სახით და რიგ შემთხვევებში კონკრეტულ საგნების კურიკულუმში არის შესული აღნიშნული თემატიკა. თუმცა მიუხედავად ამისა - საკმარისად არ არის დანერგილი პრაქტიკული მექანიზმები, რომელიც მოსწავლეებს დაარწმუნებს თეორიის ეფექტურობაში და ხელს შეუწყობს - ბულინგის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ბულინგის ფაქტების წინასწარ გამოვლენას და აღკვეთას. აგრეთვე, გამოიკვეთა სკოლის სრული ადმინისტრაციის და გარე ექსპერების სრული ჩართულობის საჭიროება, სადაც თითოეული ჩართული პირი შეასრულებს მათთვის მინიჭებულ როლს და პასუხისმგებელი იქნება ბულინგის პრევენციის და აღკვეთის კონკრეტული მექანიზმების განვითარებაზე. მოცემული პროცესი ხელს შეუწყობს მასწავლეებსა და მოსწავლეებს შორი ნდობის ამაღლებას და ბულინგის შემთხვევების შემცირებას.

საერთო ჯამში, სკოლებში მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის, კერძოდ, ძალადობისგან/ბულინგისგან მათი დაცვის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის, ამ სფეროში მოქმედი შიდა მექანიზმების არსებითი გაძლიერების და პრაქტიკულად განხორციელების მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სახალხო დამცველი, ბავშვის უფლებების ცენტრი, სპეციალური ანგარიში: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა, თბილისი 2017.
2. საქართველოს სახალხო დამცველი, კვლევა ადამინის უფლებების სწავლების და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში, 2018.
3. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ანგარიში 2021
4. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო
5. სკოლის დისციპლინარული კომიტეტის გზამკვლევი: სარეკომდაციო დამხმარე მასალა საჯარო და კერძო სკოლებისთვის; ლია გიგაური, გიორგი გახელაძე; თბილისი, 2012;
6. ქვიარ ბულინგი სკოლაში, კვლევის შედეგები; თანასწორობის მოძრაობა - ნუკრი ტაბიძე, ხათუნა ხარჩილავა, 2020;
7. საქართველოს განათლების სისტემა, სამაგიდო კვლევა; ირინა გურგენაშვილი; თბილისი 2018
8. უსაფრთხო სკოლა, პოლიტიკის დოკუმენტი; გორგოძე სოფიო, სიმონ ჯანაშია 2012;
9. ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი XV. საზოგადოებრივი მეცნიერებები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები; თბილისი 2018;
10. ბულინგი სკოლაში: ინტერვიუ ელენე მაღრაძესთან - https://bit.ly/38ZDS68; (ამოღებულია: 10.04.2022)
11. რა არის ბულინგი? (www.stopbullying.ge) - https://bit.ly/3vt1Q0X; (ამოღებულია: 10.04.202)
12. Bullying in German Primary Schools: Gender Differences, Age Trends and Influence of Parents' Migration and Educational Backgrounds; Nandoli von Marées and Franz Peterm; Link: https://bit.ly/3Mdt6r3 (ამოღებულია: 05/04/2022)
13. German Schools Struggle With Bullying; Link: https://bit.ly/3JZOuhX (ამოღებულია: 05/04/2022)
14. PISA 2015 Results (Volume III); Link: https://bit.ly/3vvRXjl (ამოღებულია: 05/04/2022)
15. Traditional bullying and cyberbullying among children and adolescents in Germany – Cross-sectional results of the 2017/18 HBSC study and trends, Link: https://bit.ly/3uUeMhB (ამოღებულია: 05/04/2022)
16. Prevention of bullying in German schools: an evaluation of an anti-bullying approach, Reiner Hanewinkel; Link: https://bit.ly/3Oo6ciy; (ამოღებულია: 05/04/2022)
17. National time trends bullying among adolescents in the Czech Republic from 1994 to 2014, Mária Sarková, Dagmar Sigmundová, Michal Kalman; Link: https://bit.ly/3uUaoiw; (ამოღებულია: 06/04/2022)
18. Students, teachers, and now companies worldwide are using a new Czech anti-bullying app; Link: https://bit.ly/382ltFp; (ამოღებულია: 06/04/2022)
19. Specifics of Cyberbullying of Teachers in Czech Schools – A National Research Kamil KOPECKÝ, René SZOTKOWSKI; Link: https://bit.ly/37rnAlW (ამოღებულია: 06/04/2022)
20. Bullying aT school and its Impact on mental and physical condition of a child - Alena Machová, Mária Boledovičová; Link: https://bit.ly/3uQCYkS; (ამოღებულია: 06/04/2022)
21. Czech Schools Defeat Bullies With Understanding, Vaclav Stefan; Link: https://bit.ly/3yyuUYo;